ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6334704

ნომერი: AR1948347

თარიღი : 07.02.2023

გაცემის თარიღი : 20.02.2023

გაცნობის თარიღი : 20.02.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 106;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ რამიშვილი პ/ნ 01010011140
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ II კვ. კორ. 12 ბ. 27

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 7 თებერვლის №AR1948347 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის №5266294 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 14 თებერვლის №6327439 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები სრულად, კერძოდ საცხოვრებელ ფართობებში, ისევ არასწორად არის ჩათვლილი კოლონების ფართობები. ამასთან, ისევ არ არის დაზუსტებული მოთხოვნა საზაფხულო ფართობთან დაკავშირებით, კერძოდ წარმოდგენილ გეგმასა და შეთანხმებულ გეგმებზე დატანილი საზაფხულო ფართობების ჯამური მაჩვენებელი შეუსაბამოა შეთანხმებულ ბრძანებაში დაფიქსირებულთან. ამასთან, წარმოდგენილ „+10.80, +11.40, +13.00“ ნიშნულის გეგმაზე შეცვლილია ერთ-ერთი ნიშნულის მაჩვენებელი, კერძოდ „ა“ კორპუსზე +13.00 ნიშნულის ნაცვლად არასწორად არის მითითებული ±0.00 ნიშნული.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა საცხოვრებელ, საზაფხულო და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ამასთან, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის №5266294 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე), გეგმებსა და გეგმებზე გამოტანილ ექსპლიკაციებზე გასწორებული საცხოვრებელი ფართობების დაფიქსირებით და ნიშნულების ცვლილების გარეშე.
ვინაიდან, სამსახურის 2023 წლის 14 თებერვლის №6327439 ბრძანებას გაეცანით 2023 წლის 14 თებერვალს, ხოლო სამსახურს განმეორებით მომართეთ 2023 წლის 17 თებერვალს, ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღე.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2023 წლის 7 თებერვლის №AR1948347 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.